№ 267

ოთხშაბათი, 24 დეკემბერი, 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 267

ოთხშაბათი, 24 დეკემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერთან ჩვენს ქალაქ გარეთ ხელის მომწერლებს ეგზავნებათ განცხადება „კავკასიის სასოფლო სამეურნეო“ გაზეთისა.

**კონსტანტინე და ანასტასია ბაქრაძე, ეკატერინე აბდუშელიშვილისა და სოფიო ჩხატარაშვილისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა საყვარელის მამის

**დიმიტრი ბახუტას ძის ბაქრაძის**

გარდაცვალებიდგან ორმოცის დღის შესრულებას და სთხოვენ მობრძანდნენ ორშაბათს, 29 დეკემბერს, დილის ათ საათზედ, ქუთაისის ტაძარში, სადაც იქმნება გარდახდილი წირვა და პანაშვიდი.
(1—6.—1)

## „ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტ ფ ი ლ ი ს ი,**

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

სატოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА“.

## ქართული თეატრი

კვირას, 28 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან **ეფ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქ. და 7 სურ., თავ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ეფ. მესხი, კარგარელი, რჩეულოვისა, ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი რეგისტრატორობა: კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის გამგიჯვნელ განყოფილების გეგმათა შემადგენელს ლოლაძეს; ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის თარჯიმნის თანამდებობის აღმასრულებელს მიქელაძეს; ტფილისის სამოსამართლო პალატის მიწის მზომელის უფროსს თანაშემწეს გოგილაძეს. კოლეჟსკი ასესორობა—ფოთის ზურგის რაზმის უმცროსს მკურნალს მიქაბერიძეს.

დამტკიცებულ იქმნა კოლეჟსკი რეგისტრატორის ხარისხში ბაქოს ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ჩავჩანიძე.

## ახალი ამბავი

—

∴ როგორც ექიმმა მაისურიანცმა გვაუწყა, თავადი მუხრან-ბატონი გუშინ უკეთ ჰგრძნობდა თავს. სითბო ტანისა ჯეროვანი აქვს, მაჯა კარგად უცემს.

∴ გუშინ-წინ, 22 დეკემბერს, სასამართლოს და პოლიციის მოხელეთ დაათვალიერეს კერძო ვექილის პლიუშჩევსკის ბინა, თავ. თუმანოვების სახლში, ბარიათინსკის ქუჩაზედ. სხვათა შორის იპოვნეს იქ ორი წერილი: ერთი კავკასიის მთავარ-მართებლის სახელობაზედ და მეორე—ქ-ნ ს—ვისა. გარდა ამისა, ჰნახეს ერთი ბარათი, რომელშიაც პლიუშჩევსკი, სხვათა შორის, სწერს, რომ „ჯერ ისევ 15 დეკემბერს განვიზრახე თავის მოკვლა, განვიზრახე, აგრეთვე იმის მოკვლაც, ვინც მე შემარცხვინაო“. ამ აზრით იმას 19 დეკემბერს „კრუჟოკთან“ ვუდარაჯე, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოვიყვანე, რადგან ხელი შემიშალეს უცხო კაცებმა, რომლებთან ერთად თავ. მუხრან-ბატონი „კრუჟოკში“ შევიდაო. შემდეგ პლიუშჩევსკი სწერს, რომ 20 დეკემბერს „ლონდონის“ სასტუმროში შევედი, მაგრამ იქ ვერ ვიპოვნე, ვისაც ვეძებდი, ამიტომ რვა საათისვის გადავდე საქმე, რომ ყოველივე ანგარიში „კრუჟოკთან“ გავუთავოო“. ამ წერილიდგანვე სჩანს, რომ პლიუშჩევსკის აზრადა ჰქონდა თავ. მუხრან ბატონი ხანჯლით მოეკლა, ხოლო რევოლვერი თვის თავის მოსაკვლელად ჰქონია. ბარათი, როგორცა სჩანს, დაწერილია პლიუშჩევსკის სახლიდგან წასვლის წინად. ბარათი ასე თავდება: „უკვე $7^1/_2$ საათია, დროა“... შემდეგ ხელი აქვს მოწერილი. პლიუშჩევსკი თავისის საქმეების მოწყობას იმ დღიდგანვე შეუდგა, რადღესაც სამოსამართლო პალატამ საქმე ბრალმდებელს გადასცა. იმან მაშინვე თავისი ქონება, როგორც ამბობენ, დაამტკიცა ცოლის სახელობაზედ, რომელიც ამ ჟამად ქალიშვილითურთ ოდესაში სცხოვრობს. 20 დეკემბერს გამომძიებელმა დაიბარა და გამოჰკითხა ერთს უმთავრეს მოწმეს, პლიუშჩევსკისთან მწერლად ნამყოფს ბ-ნ მახნაჩევს, რომელმაც პლიუშჩევსკის წინაალმდეგ ილაპარაკა, და ამ გარემოებამ ცუდად იმოქმედა იმაზედ. ნაცნობების სიტყვით, პლიუშჩევსკი მთელს დღეს აღელვებული და აღშფოთებული იყოო. დილის თერთმეტ საათზედ „ლონდონის“ სასტუმროში მისულა და თავ. მუხრან-ბატონი უკითხავს. შემდეგ ორ საათამდის პლიუშჩევსკის გოლოვინის პროსპექტზედ უვლია. აქ ბოქაული თავ. ერისთავი შეხვედრია. პლიუშჩევსკი იმდენად არეული ყოფილა, რომ თავ. ერისთავს უკითხნია, ავად ხომ არა ხარო. „არაფერი, ისე, კარგი ამინდია და სასეირნოდ გამოვედიო“, უთქვამს იმას. საღამოზედ ხელ-ახლა გამოსულა გოლოვინის პროსპექტზედ და „კრუჟოკის“ კარების წინ დამდგარა. აქ თავ. მუხრან-ბატონის მოსვლამდე კინაღამ უბედურება მოხდა თურმე. „კრუჟოკთან“ ეტლით ქუჩაში გამოხვეული თავ. ა—შვილი მისულა, რომელიც პლიუშჩევსკის მუხრან-ბატონი ჰგონებია და მიჰვარდნია, მაგრამ რა შეუმჩნევია, რომ სხვა არისო, შეჩერებულა და უთქვამს: „როგორც გეტყობათ, თქვენ მშიშარა არა ჰყოფილხარ, მინდოდა შემეშინებინეთო“. ცოტა ხნის შემდეგ „კრუჟოკთან“ თავ. მუხრან-ბატონიც მისულა.

∴ 21 დეკემბერს, მიხეილის ავადმყოფოში გასჭრეს პლიუშჩევსკის გვამი. როგორც აღმოჩნდა, ტყვია პლიუშჩევსკის მარჯვენა ყურის მახლობლად მოურტყავს და ტვინში ჩარჩენია.

∴ გუშინ, 23 დეკემბერს, საღამოს 5 საათზედ, საეკკლესიო წესრიგის გარდუხდელად მიაბარეს მიწას კუკიის მიხეილის საავადმყოფოს სასაფლაოზედ გვამი პლიუშჩევსკისა, რომელმაც მოიკლა თავი 20 დეკემბერს. მიცვალებულის გვამს მისდევდა რამდენიმე მისი მახლობელი და ნათესავი.

∴ ეს მესამე დღეა, რაც მეცხრე პოლიციის ნაწილში იმყოფება სულით ავადმყოფი, რომელიც არც არასა სვამს და არც არასა სჭამს. ათასში ერთხელ თუ ძლივს წამოილუღლუღებს ხოლმე სახელს „ივანეს“ და დანარჩენს დროს-კი ტირილში ატარებს. პოლიციას ვერ გაუგია ამ კაცის ვინაობა და ვერც საავადმყოფოში მოუთავსებია უადგილობისა გამო. საბრალო 17—18 წლის ჭაბუკია, შავ-თვალ-წარბა, შავი თმა აქვს და უწვერ-ულვაშოა. როგორც ეტყობა, იმერელი უნდა იყოს. ფრიად შესაბრალისი და საცოდავი სანახავია.

∴ გუშინ-წინ, 22 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს კრებაზედ მოხდა არჩევანები გამგეობის ერთის წევრისა, ბ-ნ ხოსროევის ნაცვლად, რომელსაც ვადა გაუვიდა. კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ: ხოსროევი—28 ხმით, პ. გ. იაკიმოვი—4 ხ., ს. დ. ლისიცევი—1 ხ., სულხანიშვილი—1 ხ., იოანესიანი—1 ხ., ვ. ს. მიქელაძე—1 ხ. და ტერ-გრიგორიანცი—1 ხ., კენჭი უყარეს მხოლოდ ბ-ნ ხოსროევს, რომელსაც 39 თეთრი და 21 შავი კენჭი ამოუვიდა. ამავე კრებაზედ საბჭომ დაიწყო განხილვა მომავალის 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

∴ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს მოსვლია მიწად-მოქმედების დეპარტამენტისაგან წერილი ქიმიკოსის მორისა ქ. მაინციდგან. ამ წერილში აწერილია პროფესორის მორის მიერ გამოგონილი წამალი ფილოქსერის წინაალმდეგ. ეჭვი არ არის, საფილოქსერო კომიტეტი ჩვენშიაცა სცდის ამ წამალს.

∴ ქუთაისში ახლად დაარსებულის მე-3 გამიჯვნელ ოლქის მმართველის თანამდებობაზედ სხვა კანდიდატთა შორის თერგის ოლქის გამიჯვნელ ნაწილის გამგეს თავ. ე. გ. სიდამონიშვილს ერისთავსაც ასახელებენ თურმე.

∴ კვირას, 21 დეკემბერს, წლიური აქტი იყო გამართული ტფილისის ვაჟთა მე-III გიმნაზიაში. აქტს, სხვათა შორის, დაესწრო კავკასიის [illegible]სწავლო ოლქის მზრუნველი, [illegible]ტოო სასწავლებლების დირექ[illegible] მადლოვა მიწვეული ხალხი. სა[illegible] შემდეგ გ[illegible]რაკლისის გარდახდის ა. კოზულკევს დირექტორმა ა. გიმნაზიის ყოფა-[illegible]იკითხა ანგარიში სახებ. ანგარიშიდგა[illegible]რეობის შეგიმნაზიაში 609 მოსწა[illegible]ნდა, რომ რუსეი—112, ქართველი— მათში მეხი—378, მაჰმადიანი—3, [illegible] —1, ებრაელი—20 და სხვა. [illegible] დასრულდა ჯილდოების დარიგებით. ჯილდო მიიღეს, სხვათა შორის, მე-2 კლასის მოსწავლემ მუჩაიძემ და 1 კლასისა—ბახტაძემ.

∴ 21 იანვარს ქ. ყარსში გამართული იქმნება ქართული საღამო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. ამ საღამოზედ სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ა. ცაგარლის კომედიას „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და ვოდევილს „ხოლერობა“.

∴ ეს რამდენიმე დღეა, რაც ქალაქის ზოგიერთის ნაწილების მცხოვრებელნი დიდს გაჭირვებაში არიან უწყლოობისა გამო. ნუთუ დრო არ არის, ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და წამალი რამე დასდოს.

∴ მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რომ უკვე ხელი მიუყვიათ იმის გამორკვევისათვის, თუ ამიერ-კავკასიის რომელ გუბერნიების სახელმწიფო მამულებზედ შეიძლება გაშენებულ იქმნას ახალშენები რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებულთათვის.

∴ პირველ იანვრიდგან საქმეთა განხილვა ტფილისის ოლქის სასამართლოში სულ სხვა გვარად იქნებაგანაწილებული. აქამდის მომრიგებელ სასამართლოებიდგან სააპელაციო საჩივრით გადატანილს საქმეებისათვის მთელს ტფილისის გუბერნიაში დაწესებული იყო ოლქის სასამართლოს სააპელაციო განყოფილება, რომელიც ასეთს საქმეებს არჩევდა, სულ ერთია, სამოქალაქო სამართლისა იყო იგი, თუ სისხლის სამართლისა. ამას გარდა ოლქის სასამართლოს ორი სისხლის სამართლის განყოფილება ჰქონდა, ერთი სამოქალაქო სამართლისა და ერთიც გამიჯვნელი. მომავალ 1898 წლის პირველ იანვრიდგან სააპელაციო და გამიჯვნელი განყოფილება უქმდება და იმათ ნაცვლად არსდება ერთი ახალი სამოქალაქო განყოფილება. სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს ორი განყოფილება, პირველს მათგანში სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგის თ. თ. ბურგარტის თავმჯდომარეობით განიხილვენ ხოლმე გორისა, ახალცი-

ხისა, ახალ-ქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში და აგრეთვე ტფილისის მესამე და მეოთხე განყოფილებებში აღძრულს საქმეებს; მეორე განყოფილებაში თავმჯდომარედ იქმნება სასამართლოს თავმჯდომარე მ. მ. შარიგინი და განიხილავს დუშეთისა, თიონეთისა, სიღნაღისა და თელავის მაზრებში, ზაქათალის ოლქში, ქ. ტფილისის პირველსა და მეორე განყოფილებაში აღძრულსა და აგრეთვე იმ საქმეებსაც, რომელიც გამოსაძიებლად მიენდობა ხოლმე განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლებს. პირველი სამოქალაქო საქმეთა განყოფილება იმ წესითვე რჩება, როგორც მეორე განაქნობამდე იყო, ხოლო [თავმჯდო]მარედ იქმნება [განყოფილებაში] თავმ[ჯდომარის მოადგილე] ი. კ. სათავმჯდომარის ... [გან]იხილავს მომრიგებელვიცკი და ... [ტ]ფილისის სასამართლო[დ]გან საპელაციო სასამართ[ლო]დ[ა]ტანილს სამოქალაქო საჩივრ[ებს] და გამიჯვნისას. ამას გარდა [ოთხ]ქერიდგან სამოქალაქო საპელაციო საქმეებს, მომრიგებელ-სასამართლოებიდგან გადატანილს, ოლქის სასამართლო აღარსად წავა სესსიად, ალაგობრივ განსახილველად, და ტფილისშივე გაარჩევს.

*** გაზ. „Чер. Вѣст.“-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი. ბათუმის ერთ ქარხანაში დიდი ხანი არ არის, რაც ერთი ოსმალეთიდგან გამოქცეული ახალგაზდა კაცი მუშაობდა. მუშაობაში უკან არავის რჩებოდა, სასმელს არ ეტანებოდა და მეტად მორცხვის ხასიათის პატრონი კაცი იყო. უცებ აღმოჩნდა, რომ ახალგაზდა კაცი— ახალგაზდა ქალია. როდესაც ჰკითხეს, რა მიზეზია, რომ კაცის ტანისამოსი გაცვიაო, აღმოჩნდა, რომ ქალს ოსმალეთშივე ჩაეცვა კაცის ტანისამოსი, იმის შიშით, ოსმალებმა არ გამაუპატიურონო. ბათუმში ჩამოსვლის შემდეგაც არ გამოეთხოვა ამ ტანისამოსს, რადგან კაცს უფრო მალე შეუძლიან სამუშაო იშოვნოსო. ქარხნის პატრონს რაკი ეს ამბავი გაუგია, სახლში წაუყვანია და ბავშვების მოვლა მიუჩემებია, მაგრამ ისეთ ნაირად მიჩვეულა კაცურ ტანისამოსს, რომ ბევრჯელ მოირთობოდა კაცის [ტანი]სამოსში, თუმცა საჭირო არ იყო [თურ]მე.

*** ქალაქის გამგეობამ [ნება] დართო ბ-ნს გოლიცინსკის ალე[ქსან]დრეს ბაღის ქვემო ნაწილში ფარდუ[ლი] ააშენოს და პური ჰყიდოს ხოლმე.

*** 22 [დეკ]ემბერს ქალაქის მე-4 ნაწილში ავა[დ გა]ხდა ყელ-ჭირვებით 2 ბავშვი და ერთ[ი] I ნაწილში.

*** ტფილისის მხერხავებმა მიჰმართეს ტფილისის გუბერნატორს და სთხოვეს ხელოსანთა ამქრებიდგან გამოგვრიცხეთ და გარდასახადიდგან განგვათავისუფლეთო. მხერხავები ხელოსანთა მოურავად ნამყოფის ნაუმენკოს დროს მიაწერეს ხელოსანთა ამქრებს. ახლა სეროზიანცმა მხერხავებს უსტაბაში ამოარჩევინა და ამრიგად ცალკე ამქარი დააარსა.

*** 21 დეკემბერს, „გრანდ-ჰოტელის“ სასტუმროში შეპყრობილ იქმნა ამაიკ მინასიანცი, რომელსაც დიდი ხანია რაც პოლიცია დაეძებს და რომელიც ბარათაშვილის სახელზედ დაწერილის ყალბის პასპორტით სცხოვრობდა. ამ კვირა ნახევრის წინად მინასიანცს ხაშურის სადგურზედ ბ-ნ ნოვოსელსკისთვის ჩემოდანი ტანისამოსით და 1,500 მანეთის თამასუქებით მოუპარავს, იმავე დღეს ტფილისის სადგურზედ თავ. ერისთავისათვის ორი ჩემოდანი მოუპარავს. მინასიანცმა გარდა ამისა გამომძიებელს გამოუცხადა, რომ ოპერის მომღერალს კამიონსკისაც მე მოვპარე ქურქიო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ოფიშქვითი.** (ქუთაისის მაზრა), 18 დეკემბერი. წელს, ღვთის მადლით, ჩვენში ჭირნახულის კაი მოსავალი იყო, პურმა, ვისაც-კი ეთესა, სწორედ თავი ისახელა; სიმინდიც არ მოსულა ურიგოდ, მხოლოდ უდროოდ [ჩ]ამის მოსვლით სამი მეოთხედი დალპა და დღემდის ჩვენებურები დამპალის სიმინდით ჰკვებავენ ღორებს და ქათმებს (ცხენი და სხვა საქონელი არა სჭამს). წრევანდელმა პურის კარგმა მოსავალმა გამოაფხიზლა გლეხები და სანახევროდ (თითქმის მეტიც) თავიანთ და მემამულების ადგილებზედ სულ პური დასთესეს; ამინდიც კაი ჰქონდათ დღემდის. ეს სამი დღეა, გარგად დაგვითოვლა. ერთის ადლის სიმაღლეა თოვლი. თოვლი გაყინულ მიწაზედ დაედო და გგონებ, დიდ ხანს არ უნდა ადნეს. ისეთი ქარ-ყინვაა, რომ წისქვილები დაჰყინა. ბევრი ოჯახი მოხარშულის სიმინდით და პურის წანდილით იკვებება. ბევრგან უგზოობით მიმოსვლა შეწყვეტილია და სკოლაში შეგირდები სანახევროდაც ვეღარ დადიან. ამ ქარ-ყინვაში ჩვენის სკოლის პაწია შეგირდები, როცა სასწავლებელში მოდიან, გაყინულის ხელებით ბუხრისკენ ატირებულნი მიეშურებიან გასათბობად. რიგიანი სახლი სასკოლოდ აქ ვერ იშოვეს და ამასთანა სიცივეებში ადვილად საფიქრებელია, სწავლის საქმე რა მდგომარეობაში იქნება.

ეს ერთი წელიწადია, რაც ჩვენში თავად დავით ოტიას ძის ნიჟარაძის შუამდგომლობით და ბ-ნ მახარაძის მეცადინეობით ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა დაარსდა, მაგრამ შენობის ღირსიკა ვერ გავხდით. ფული სკოლის შენობის ასაშენებლად ნახევრად შეკრებილია და სრულადაც შეიკრიბებოდა აქამდის, ზოგიერთი გლეხთაგანი რომ არ გვიშლიდეს ხელს. ჩვენს სოფელს ჰყავს ერთი სახელოვანი და გონიერი თავადი, რომელსაც მთელს ჩვენს მაზრაში დიდი გავლენა აქვს. იმედია, იგი ეცდება ამ საქმისათვის და ამ სახით მალე აშენდება სკოლისთვის ისეთი შენობა, რომ ორ კლასიანისთვის გამოდგეს და სახელოსნო განყოფილებასაც სწევდეს. ჩვენს გლეხებს ჰსურთ როგორმე იაფად იყიდონ სახლი, მაგრამ არ უნდა დაავიწყოთ ძველებური გონიერი ანდაზა— „კარგისა ყიდვა ძვირად სჯობს, ზედ დათავება ფასისა“-ო.

ის ვარ

## რუსეთი

—

უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს თურმე საელექტრო-სატეხნიკო ინსტიტუტი მოსკოვშიაც დააარსოს, უმაღლესს სასწავლებლის უფლება მიანიჭოს და ფინანსთა სამინისტროს დაუქვემდებაროს. ინსტიტუტში ოთხის წლის კურსი იქმნება და ორ უფროს კურსს ორ-ორილი განყოფილება ექმნება: საელექტრო-სამექანიკო და საელექტრო საქიმიო. პეტერბურგის საელექტრო-სატეხნიკო ინსტიტუტიდგან იმითი უნდა განირჩეს, რომ მოსწავლეთ შეეძლებათ ერთსა და იმავე დროს რამდენიმე საგანი შეისწავლონ და ამა თუ იმ ლაბარატორიასა და სახელოსნოში მომუშავეთ ლექციებიც მოისმინონ ხოლმე. ინსტიტუტის მართვა-გამგეობა მიენდობა დირექტორს, უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულს და ცნობილს მეცნიერებაში. ინსტიტუტში სწავლა დამთავრებულთ მიეცემ ათმოწმობა 1 და 2 ხარისხის ინჟინერ-ელექტრიკოსობისა. ინსტიტუტს შენობის დასაქირავებლად, მასწავლებელთა მოსაწვევად და ყოველ-გვარ საქმის საწარმოებლად დასჭირდება წელიწადში 122,780 მან.

— საერო განათლების სამინისტროს ამ ჟამად პროექტი წარედგინა ახალის სახის სასწავლებლების დაარსების შესახებ. ამ პროექტით უნდა დაარსდეს 8 კლასიანი სასწავლებლები. პირველი კლასი უნდა იყოს მოსამზადებელი და ბოლო ორი-სპეციალი სასოფლო-სამეურნეო საგნებისა.

— პეტერბურგის უნივერსიტეტის მთავრობას შუამდგომლობა დაუწყია საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტთან იაპონიის სიტყვიერების კათედრაც დაარსდესო.

— რუსეთის ცნობილს მწერალს გრ. ლ. ნ. ტოლსტოის ამ დღეებში დაუმთავრებია წერა ახალის თხზულებისა „ხელოვნების შესახებ“, რომლისთვისაც ძლიერ ბევრი იშრომა, შეისწავლა ხელოვნების ისტორია და იკვლევდა ხელოვნების ყოველ გვარ დარგის მნიშვნელობას. ახალი თხზულება შესდგება 20 თავისაგან და დაიბეჭდება ჟურნალ „Вопр. фил. и Псих.“-ში.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ საზოგადო სასოფლო ბეღლებიდგან გაყიდულ ხორბლეულობის ფული სასოფლო-სამეურნეო თანხას უნდა შეუერთდეს ხოლმე.

## უცხოეთი

—

**საბერძნეთი.** ჩვენ არა ერთხელა და ორჯელ გვქონია ლაპარაკი საბერძნეთის ჩუმის საზოგადოების „ჰეტნიკე ჰეტერიის“ შესახებ, რომელსაც მთელი საბერძნეთის საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთები უმთავრესს ბრალსა სდებდნენ ოსმალეთის მიერ საბერძნეთის დამარცხების საქმეში. პირველად საბერძნეთის ერი ოსმალეთის წინაამდეგ ამ საზოგადოებამ აღელვა. მან ბევრს თოფ-

## ფელეტონი

### ნადირთა სასამართლო

ე. კონისა.

(შემდეგი *)

სხვა მოწმებმაც ერთ-ხმად აღიარეს ადამიანის დანაშაული.

თვით გულ-უბრყვილო ცხვარმაცკი სთქვა, რომ თუმცა ბევრს ვცდილობდი და ყოველ ღონისძიებას ვხმარობდი ხუჭუჭი თმა გამზრდოდა როგორმე, მაგრამ ადამიანი ჩემის გამოუცდელობით სარგებლობდა, ძალდატანებით წამაქცევდა ხოლმე და განურჩევლად კისერსაცა და დუმასაც გამკრეჭავდა ხოლმე. კაცის საქციელი ყოველთვის ძალ-მომრეობითი და სასტიკი იყო, როგორც ძლიერისა სუსტის არსების წინაამდეგაო.

მდივნის ბიძაშვილი ბატი დიდხანს ლაპარაკობდა გაცხარებული. ადამიანის გამო სწორედ რომ ბატებს არ ეცხოვრებათო, მომეტებულად საშობაოდაო. მოწმემ ნათლად დაასურათა, თუ რა შეუბრალებლად ჰხოცავენ ბატებს. გვხოცავენ, ლორად გვკიდებენ და მთელის ურმებით ქალაქში გვეზიდებიან გასასყიდადაო.

მოწმე მცირედ შეეხო რა ბატების ხოცვის ამბავს, მსაჯულთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კაცი ხშირად ცოცხალს ფრთებს გვაგლეჯს და ფრთის კალმით სჩხაბნის ყოველ გვარ სისაძაგლეს: საჩივრებს, საეჭვო წერილებსა და, ვინ იცის, კიდევ რასაო.

ამ საქციელით ბატონნო მსაჯულნო, განაგრძო ბატმა: სიცოცხლე მაგათგანა გვაქვს მოწამლულ-მოშხამული. უდანაშაულო ბატებს ნამდვილი მამაციშვილები ეჭვის თვალით გვიყურებენ, როგორც მავნე და გამათახსირებელ აზრების გამავრცელებელთ. მერე ვისზედა აქვთ ეჭვი, ოდესღაც რომის გადამრჩენს ბატებზედ?!!

ბატმა ველარ შეიმაგრა თავი და ქვითინი დაიწყო; უცებ სისუსტე მოუვიდა და გული შეუწუხდა.

დამრგვალებულმა, ძალზედ ჩათქვირებულმა ღორმა კაცის დანაშაულის სიას აღარა მიუმატა-რა. იგი მხოლოდ უსიამოვნოდ ჰკვნესოდა, ღრუტუნებდა და ისე ღორულად იქცეოდა, რომ დათვმა ორჯელ შენიშნა: „ქალბატონო, დამშვიდდით, ნუ გავიწყდება, სადაცა ხართ“?! ბოლოს დაემუქრა კიდეც, რომ თქვენ ცხოველთა შორის საპატიო ყოფას არ შევხედავ და სასამართლოდგან გარეთ გაგაყვანინებთო. ასე იყო თუ ისე, ღორის ჩვენებიდგან მხოლოდ ის აღმოჩნდა, რომ კაცი თურმე ყოველ გვარ უსუფთაობას, სათქმელადაც შეუძლებელ სისაძაგლეს აჰმევდა და როდესაც მოწმე შეურიგდებოდა ხოლმე ამ ღორულს მდგომარეობას, შეეჩვეოდა, სუქდებოდა და სქელდებოდა, სწორედ კაცი მაშინ ჰკლავდა შეუბრალებლად და ჰყიდდა. ამას გარდა, იმასაც, როგორც ძროხას, სასტიკი კაცი ძუძუდგან ჰგლეჯდა თურმე უსუსურ გოჭებს და ანადგურებდა. თუმცა მოწმე ღორი იყო, მაინც კვნესა-ღრუტუნით მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთ სიბრალულით აევსოთ გული, რადგან მოწმე მარტო ღორი-კი არა, დედაც იყო და დედობრული გრძნობაც აღელვებდა.

ვექილის მიერ მოწვეული მოწმე გასქელებული, ფუნთუშა კატა როგორღაც უნდობლად ლაპარაკობდა. კატამ სთქვა, რომ კაცის წინააღმდეგ არაფერი მაქვსო, თუმცა-კი ხანდახან ყურებს მიმისრესს და მიმჯოხავს ხოლმე, მაგრამ კაცის ასეთი მოქმედება თვით ჩემის მიზეზითვეა გამოწვეულიო. ამასთან კატამ დაუმატა, რომ რამდენადაც ვიცი, კაცი და კატა ყველგან თანხმობით სცხოვრობენო. მაინც მოწმემ ვერ მოითმინა, რომ არ აღენიშნა გულ-მართალი ჩივილი დედა კატებისა, რომელსაც კაცი ჯერ ისევ თვალ-აუხილავს შვილებს აცლის და უწმინდურს ალაგს ჰყრის.

მაგრამ, დაუმატა კატამ, ეგ მე არ შემეხება, მე, როგორც მამაკაცი' კაცის მაგ გვარი მოქმედება მომწონს კიდეც, რადგან ოჯახობრივ ზრუნვისაგან განთავისუფლებული ვარო.

კამათი დაიწყო.

ბრალდებულის სიტყვა საუცხოვო იყო, ბრალდებულმა თავისი სიტყვა ორ ნაწილად გაჰყო. დანაშაული ადამიანისა ცხოველთა ქონებრივ უფლების დარღვევისა გამო და დანაშაული მისივე ცხოველების ხოცვა-წვალებისა და ტანჯვის გამო. მე, ბატონო მსაჯულნო, დაიწყო მელამ, ჩემს სიტყვას საფუძვლად დავუდებ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებას. შემეძლო, რასაკვირველია, სიტყვა გამეგრძელებინა, მომეხსენებინა ის მტრობა, რომელსაც იჩენს კაცი დათვისა, მგლისა, დედოფალას და ტყის სხვა მფლობელთა მიმართ, აღმენიშნა, ყოველთვის და ყოველგან როგორა სცდილობს ხსენებულ არსებათ რაიმე ზიანი მისცეს, დაჰხოცოს, დაასახიჩროს... მაგრამ მე ამას არ მოვიხსენიებ, არ მოვიხსენიებ, რადგან თქვენ შორის უეჭველია არიან ისინიც, რომელთაც კაცმა მოუკლა მამა, დედა, ძმა, მეგობარი, ან სხვა რომელიმე მახლობელი არსება. რად გავახსენოთ ძველი, უკვე დავიწყებული მწარეამბავი; რად აღვადგინოთ თქვენს მეხსიერებაში უდროოდ სიცოცხლეს გამოსალმებულთა ძვირფასი სურათები და ამითი რად შევეხო, ვინ იცის, შეიძლება ჯერ კიდევ პირ-შეუკვრელს გულის ჭრილობებს? ჩემის ნათქვამით შეიძლება თქვენ წინაშე გამოვიწვიო გულით საყვარელ არსებათა სისხლით შესვრილნი აჩრდილნი, რომელნიც გეტყვიან: თქვენს ხელთ არის ჩვენი მტარვალი, ჩვენი მკვლელი, ჩვენი საზოგადო მდევნელი, მის ხელებზედ ჯერ კიდევ არ შემშრალა და ორთქლი ასდის ჩვენს უდანაშაულო სისხლს.., ძმებო, მეგობრებო, ნათესავნო! დასთრგუნეთ იგი და ჩვენს მაგიერ თქვენ მიაგეთ ღირსეული სასჯელიო! ამ მოგონებათა აჩრდილთა ზედ გავლენით შეიძლება განაჩენი მიდგომით დაადგინოთ!... მაგრამ მე ეს არ მინდა. თქვენც და მეც ძლიერ შორსა ვდგევართ ამ გვარ შავისა და არა-საკადრისის საქციელისაგან. სწორედ ამიტომ, ვიმეორებ, არ შევეხები ერთის სიტყვითაც-კი იმ შეურაცხებას, რომელიც კაცმა მოგვაყენა და ყოველ შემთხვევაში გვაყენებს ჩვენ, ტყის შვილებს, თუმცა-კი ეს შეურაცხება შესაზარად უსამართლო საქციელია, სასტიკია და შესაწყნარებელი მიზეზი არა აქვს რა. ვიცით ისიც, რომ იმისს ამ გვარს მოქმედებას ბოლო და დასასრული არა აქვს, ვიდრე დამნაშავეს არ მოესპობა ამისი შეძლება. ერთის სიტყვით, ნურას ვიტყვი იმისას, რაც ჩვენ შეგვეხება. მაგრამ ბ-ნნო მოსამართლეებო და პატივცემულნო ნაფიცნო მსაჯულნო, თქვენის პატიოსანის ყურით მოისმინეთ მოწმეთა ჩვენება, რომლის სიწრფელე-სინამდვილეს უარს ვერა ჰყოფთ, არცა გაქვთ რაიმე საბუთი უარი ჰყოთ იგი და არ დაერწმუნოთ. აქ მოისმინეთ ღორის საცოდავი ღრუტუნი, ძროხის ბღავილი და კეთილშობილური წყრომა ბატისა!... მოისმინეთ, რა ბრალსაც სდებდნენ კაცს. ვნახოთ ახლა ეს ბრალდებანი რამდენად მართალია.

*) იხ. „ივერია“ № 262.

იარაღიც-კი დაურიგა და ბრძოლის ველზედ გაისტუმრა. თითქმის მთავრობაც-კი იმან აიძულა, რომ, ევროპის რჩევის მიუხედავად, ოსმალეთისათვის ომი გამოეცხადებინა. სწორედ ამიტომ ომისა და საბერძნეთის დამარცხების შემდეგ ყველამ მტრულის თვალით შეჰხედა „ჰეტნიკე გეტერიას“. ჟურნალ-გაზეთებსა და საზოგადოებაში ხშირად გაისმოდა, რომ „ჰეტნიკე გეტერიამ“ დააწყობინა ომი მთავრობას, თორემ იგი სრულიად მოწადინებული არ იყო ამასო. საბერძნეთის უბედურების მიზეზი ეს საზოგადოება არისო. მთელი საბერძნეთი იმდენად უკმაყოფილო იყო ამ საზოგადოებით, რომ მთავრობა იძულებული გახდა „ჰეტნიკე გეტერია“ სამართალში მიეცა. გამოძიება ამ დღეებში დაიწყება. ამბობენ, რომ 400-ზედ მეტი აფიცერი, ამ საზოგადოების წევრი, იქმნება დათხოვნილი სამსახურიდგანაო. საზოგადოების წინაშე თავის გასამართლებლად „ჰეტნიკე გეტერიამ“ მთელი წიგნი გამოსცა, რომელშიაც დაწვრილებით აღწერა თავისი მოქმედება ომის დაწყებამდე და თვით ომის დროსაც. როგორც ამ წიგნიდგანა სჩანს, საზოგადოება აფიცრების მიერ ყოფილა დაარსებული. საზოგადოებას საგნად ელლინთა საერო კავშირი ჰქონია და საგნის სისრულეში მოსაყვანად საზოგადოება სცდილობდა თურმე ყველგან მომხრეები და თანამშრომლები შეეძინა. პოლკოვნიკის ვასოსის კრიტში გაგზავნამდე რამდენისამე კვირით ადრე „ჰეტნიკე გეტერიამ“ მიართვა საბერძნეთის მეფეს განცხადება, რომელშიაც ურჩევდა მას ჯარის გამრავლებას და საზოგადოდ ამ საქმის უკეთესად მოწყობას. ამავე დროიდგან იწყობა „ჰეტნიკე გეტერიის“ და მაშინდელის მინისტრ პრეზიდენტის დელიანისის დაახლოვება. დელიანისმა ნება დართო საზოგადოებას, რომ მან ცალკე რაზმები შეადგინოს. 1897 წლის 12 მარტს მინისტრთა საბჭომ დაადგინა მისცეს საზოგადოებას სახელმწიფო საწყობებიდგან 500,000 თოფის ტყვია. ორი ოფიცერი თვით სამინისტრომ გაუგზავნა „ეტნიკე გეტერიას“ იმის რაზმების მოსაწყობად და გასაწვრთნელად. საზოგადოების თანხას 1,200,000 დრახმა შეადგენს. ამ რიგად, ამ საზოგადოების საქმეებში დიდს მონაწილეობას იღებდა საბერძნეთის მაშინდელი მთავრობა, განსაკუთრებით მინისტრ-პრეზიდენტი დელიანისი, ურომლისოდაც საზოგადოების არც ერთი საქმე არ გადასწყდებოდა ხოლმე და ამიტომ სამართალში შეიძლება თვით მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი დელიანისიც იქმნას მიცემული.

— ათინიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Berliner Tageblatt“-ს: „იმ დროს, როდესაც საბერძნეთის სამხედრო გემი „Actium“ ამბრაციის ყურეში გამოდიოდა, ოსმალეთის ნავთ სადგურის პრევეზიდგან ყუმბარები დაუშინეს: „Actium“ და ამასთან ერთად მომავალი სხვა გემები იძულებულნი გახდენ უკანვე დაბრუნებულიყვნენ. საბერძნეთის მთავრობამ ამ ამბის გაგებისათანავე დეპეშა გაუგზავნა თავის ელჩს კონსტანტინეპოლში თავად მავროკორდატს და მოსთხოვა ამის გამო პორტას მოელაპარაკეო.“

—

**კრიტი**. საბერძნეთის გაზეთები იუწყებიან, რომ კრიტში ხელ-ახლად ამბოხება და არეულობა დაიწყებაო. გაზეთების სიტყვით, კუნძულის ქრისტიანები ძალიან უკმაყოფილონი არიან მაჰმადიანთა საქციელით. სამხედრო გემები ეს რამდენიმე დღეა, მზად არიან, რომ, თუ რამე მოხდა, შესაფერი ღონისძიებანი იღონონ მეამბოხეთა დასამშვიდებლად. კანეის ალაყაფის კარები საღამოს შვიდი საათიდგანვე იკეტება. აღელვების მიზეზად ასახელებენ მაჰმადიანების მიერ საბერძნეთის გლეხ-კაცების დახოცვას, რომელთაც ქალაქში სურსათი მიჰქონდათ.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი ლთ)

წიგნი საეკლესიო წიგნთ-საცავისა № 95, რომლის შესახებ დღეს გვსურს მცირე საუბარი, არის უდიდებულესი მეგლი საქართველოს მეგლის მწერლობისა. იგი დაწერილია სქელს ტყავზედ და თუმცა თავი და ბოლო აკლია და შიგაც აქა-იქ ზოგი ფურცლები დაკარგული აქვს, მაინც ამ მეგლს შერჩენია 1315 გვერდი. ზომით წიგნი არის: სიგრძით $^3/_4$ ალაბი, სიგანით $^1/_2$ ალაბი და სიმაღლით 5 გოჯი. ყოველ ორ-სვეტად დაწერილს გვერდზედ მოქცეულია 62 სტრიქონი და, მაშასადამე, მთელს წიგნში არის 81,530 სტრიქონი და საშუალო რიცხვით $^1/_2$ მილიონამდე სიტყვა.

ეს შესანიშნავი ხელნაწერი არის მეგლი კრებული და შეიცავს დიდდიდ მოძღვართა და მამათა სწავლას: ქადაგებას, ღვთის-მეტყველებას, მოძღვრებას, მათს ცხოვრებას, ისტორიას ქრისტიანობის გავრცელებისას მსოფლიოში და სხ.

ეს უზარ-მაზარი ხელნაწერი დაყოფილია თავებად და უკანასკნელი თავი აღნიშნულია რიცხვით „რნ“ (150).

ამ „თავთა“ შორის ქართველების ნაწარმოებია შემდეგი თავები:

„თავი „იგ“, თქმული წმიდისა დედისა ჩვენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტეჲ ქართლს შინა შობილი წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან“ (გვ. 75—83);

„თავი „ლზ.“ თქმული იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისაჲ მღდელთ მთავართათვს ოდეს გინდეს“ (გვ. 224—227);

„თავი „მთ“, თქმული წმიდისა დედისა ჩვენისა ნინოჲსი ნათლის ღებისათვს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა“ *) (გვ. 281—288).

„თავნი ნ, ნბ, ნგ, ნდ: წამებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი, თქმული იოვანე საბანის ძის მიერ (გვ. 288—316)“

თავი „რი“: ივნისსა თ: წამებაჲ და სიმკნით მოთმინებაჲ ნეტარისა გულანდუხტისა (გვ. 696—716).

თავი „რია: „ოკდონბერსა იზ წამებაჲ წმ. შუშანიკისი დედოფლისა (გვ. 735—750).

ამ წერილთაგან ჩვენ სრულად გადმოვწერეთ, გარდა ნინოს ქადაგებათა, წერილები: ცხოვრება შუშანიკისა, ცხოვრება წმ. ჰაბოჲსი, რომელიც დიდად განსხვავდება საბინინის დაბეჭდილისაგან, ბოლნელ ეპისკოპოზის შრომა და აგრეთვე ყოვლად საყურადღებო წერილი, რომელსაც ჰქვიან: „დიდი იგი დოროთეოზ მოიკსენებს ათორმეტთა მათცა მოციქულთასა უწყებითა თუ სადა მათგანმან ვინ ქადაგა“ (გვ. 161—163).

ამას გარდა ხელნაწერში ჩართულია დიდის ხელოვნობით დაწერილი შვიდი ქადაგება იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისა **) (გვ. 491—637).

ხელნაწერის 1222 გვერდზე არის შემდეგი შენიშვნა კრებულის აღტორისა:

„დიდებაჲ შენდა სამებაო წმიდაო, დაესრულა წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ. საკითხავები თავი: ლჲ:

„კურთხეულნო ერნო მომავალნო, რომელნი ჩუენსა შემდგომად ყოფად ხართ: „პირველ ოდეს ამას წიგნსა დავიწყე ესრე მედვა გულსა, ვითა დედათა წამებაჲ და ცხოვრებაჲ ოდენ დავწერო და მით გავასრულო. და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულს მოდგინებითა, ვძებნე დედაჲ (=დედანი) და ესთენ ვპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ. მერმე ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით ***) მოვიღე და მით გავასრულე:

„და ესე ცხოვრებანი დედათა და ღუთის მოყუარეთა მამათანი მიწყებით ამას ქუემოსა კერძსა მოვაქციენ: თუმცა პირველ გამეგონა თავსა ზედა მამათა მოწამეთაჲ კმდა: განა დედათა წამებაჲ და ცხოვრებაჲ ოდენ ელამოდე გასრულებასა: და მას შინა მოვცემ შემინდევით:

„ქრისტე კულა დიდნი მინახიან: ღმერთმან დაგაჯეროს, სული გრიგოლ პატარაისა მოიჴსენეთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა.

„გაბრიელ ჴკვარი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს ამა. ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი, ოდეს მიჴმარდის მათ მივჰმართი. პურაი მცირან.

„იოვანე გაცუეთილმან კუტალთა ლვნოჲ მომართვა“.

ღირსია ყურადღებისა აგრეთვე ისიც, რომ ეს ხელნაწერი „ტყვეობიდგან“ გამოუხსნია როსტომ მეფის († 1658 წ.) მეუღლეს მარიამს. წიგნში მრავალი შენიშვნაა ამ განათლებულისა და წიგნის მოყვარე დედოფლისა და მათ შორის ერთი გვაუწყებს:

„ქ: ჩუენ კელმწიფემა პატრონმა დადიანისა ასულმა დედოფალთ დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმის ქუეყნიდამ გამოვიკსენ და გავაახლე დაშლილი და წამკდარი ჩემდა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, ვინცა ამა წიგნსა წაიკითხვიდეთ შენდობით მომიხსენებდეთ. ამინ“ (გვ. 102, არშიაზე).

მ. ჯანაშვილი

*) ეს თავი შეტანილია აგრეთვე მეათე საუკუნის სხვა ხელნაწერში (№ 19). ნინოს ორთავე სიტყვები გადმოვწერეთ სრულად.

**) მის ქადაგებებში არის საყურადღებო აფორიზმები და თქმულობანი, რომელთაც „დამაკვირდი“-ში მოვაქცევთ.

***) პარხალი და იშხანი საეპისკოპოსო ტაძარნია და დღეს ოსმალეთს ეკუთვნიან.

## ნაკვესი

—

— ოჰ, თამასუქით რა ძნელია ფულის მიღებაო! შესჩიოდა ერთი გაჭარი მეორეს.

---

მეტად გარკვევით, მწყობრად დაიწყო მელიამ თითოეულის დანაშაულის განხილვა და თავისს სიტყვებს საფუძვლად უდებდა მოწმების ჩვენებასა, თვით გლეხის მიერ დანაშაულის აღიარებასა და იმისსავე გაჯიუტებულს სიჩუმეს. თვალ-საჩინო იყო მელიას სიტყვის დასასრული, რომლითაც მან ნათლად დაამტკიცა კაცის დანაშაული! ამიტომ მელამ ითხოვა, სამაგალითოდ იქმნას დასჯილი კაციო, და ზარითა და ზეიმით დააბოლოვა თავისი სიტყვა:

—მას ეგონა, ბატონო ნადირნო, რომ იგი ყოვლად შემძლებელია, რომ იმას მხეცთა სასამართლო ვერ შეეხება და ვერც დასჯის, მაგრამ ხომ ხედავთ, რომ იგი შემცდარია: ეხლა თქვენგანაა დამოკიდებული დაუმტკიცოთ, რომ მისნი უფლებანი თვისს მიერვე გამოგონებული, მითვისებული და უკანონო იყო და რომ ამ თვით-ნებობის სასჯელი უფრო სასტიკი და მძლავრია, ვიდრე თვით მისგან მითვისებულნი უფლებანი! ირგვლივ, ამ მინდვრის ახლოსა და შორს, თქვენი კეთილი თვალი ჰხედავს აუარებელს მხეცებს, რომელთაც დაუტოვებიათ თავისი სორო-ბუნაგები და კარ-მიდამონი, რათა თქვენი სამართლიანი განაჩენი მოისმინონ; იმედიცა მაქვს, რომ იმათი კანონიერი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება. მცირე მთვარის შუქზედ მხეცთა იმედით აღვსილი თვალის ისარი, რომელიც, შიშით-კი არა, სიხარულით უცებ განათდება სიმართლის მზის ცხოველის სხივით, იმ მზისა, რომელსაც თქვენის განაჩენით ეტყვით: აღსდეგ, ამოცურდი ცაზედ და შენის ცხოველ-მყოფელ სხივებით გაანათე გზა სიმართლისა და ჭეშმარიტებისაო. ბ-ნნო მსაჯულნო, მე ველი თქვენგან ამ სიტყვას, ველი და უკვე ვხედავ იმ მზის რიჟრაჟს!..

მელიას სიტყვამ მოულოდნელი გავლენა იქონია საზოგადოებაზედ. მხეცნი ჰბღაოდნენ, ჰღმუოდნენ, წრუწუნებდნენ და რაც შეეძლოთ, ტაშს უკრავდნენ და „ვაშა“-ს გაიძახოდნენ. დათვმა ბურვაკს მოავლო კუდზედ ხელი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჰრეკდა საზოგადოებაში წესიერების ჩამოსაგდებად და თან ემუქრებოდა საზოგადოებას, მინდვრიდგან მთლად დაგითხოვთო; კურდღლები თავ პირის მტვრევით დარბოდნენ და უწესოების ჩამდენთა ვინაობასა სწერდნენ. როგორც იყო, რამდენისამე წამის შემდეგ, საზოგადოება დაწყნარდა და წესიერება ჩამოვარდა.

გაფითრებული ძაღლი უკანა ფეხებზედ წამოდგა, ერთი თათი ხუჭუჭა თავზედ გადაისვა, მეორე თეთრს გულზედ დაიდო და ლაპარაკი დაიწყო. იმისთანა უფერული და უაზრო სიტყვა, როგორიც ძაღლმა სთქვა, არ გაგონილიყო. ძაღლი არამც თუ სცდილობდა დაერღვია, გაექარწყლებინა ბრალდებულის აზრი, პირ-იქით მან თითონ აღიარა ყველა საბუთების სინამდვილე, მხოლოდ მან დაიწყო კამათი ამ საბუთების კანონიერება-უკანონობაზედ. რაკი უნებლიედ მოებღაუჭა ფილოსოფიასა და სტატისტიკას, თვისის ცრუ ბრძნობით მხეცთა სიბრაზე გამოიწვია. ქებით მოიხსენია-რა მელიას სიტყვა, ძაღლმა დაუმატა, რომ ეს სიტყვა საუცხოვო და მსმენელთა გულ-ამჩვილებელი იყოო. ამასთანავე, განაგრძო ძაღლმა: ჩემთვის, როგორც ძაღლისათვის, ასეთ უნიჭიერეს მოწინააღმდეგესთან გამკლავება ძნელია. რასაკვირველია, ვექილმა თავისი სიტყვები მაინც იმითი დააბოლოვა, რომ მელიას სიტყვა, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ჰიან ტყემლადაც არა ჰღირს, რადგან იგი წარმოადგენს უაზრო ბაქა ბუქით შემკულს სიტყვათა ჩონჩხს და რომ იმისს ისეთის დაბეჯითებით თქმულს დასასრულს უფრო ბაზაზხანაში უნდა ჰქონდეს გასავალი, ვიდრე სასამართლოშიო. დათვმა კვლავ ხელი ბურვაკს მოავლო კუდზედ, ძაღლს მუქარით გაუმეორა, „ბრალდებულის დაცვის ნებას მოგისპობო“.

ძაღლმა უფრო ღრმად შეტოპა ფილოსოფიაში. ჯერ იკითხა:

— აქვთ თუ არა მხეცებს ნება გასამართლონ ჩემი მრწმუნებელიო? ოღონდაც რომ არა! მხეცები თითონ სჩადიან იმავე დანაშაულს და დამნაშავედ-კი არა სთვლიან თავიანთს თავს. დათვი დამშვიდებულის სინიდისით გაჰგლეჯს ცხენსა და ძროხას და საშინლად გაუკვირდება კიდეც, ამის გამო რომ პასუხი მოსთხოვოს ვინმემ. მგელი ჰღადრის ყელს ცხვარსა, ღორს, გოჭსა და თავისს თავს დამნაშავედ არა სთვლის. მელია მიარჩობს ხოლმე უგუნურს ქათამს, მოსისინე ბატს და ამისგამო თავისს სიყოჩაღე-მოხერხებულებას დაუმადლებს კიდეც. დათვიც, მგელიც, მელიაც ამ შემთხვევაში კაცზედ გაცილებით დამნაშავენი არიან, რადგან ისინი ჰხოცავენ და იპარავენ სხვის საკუთრებასა და მონაგარს! *) . .

. . . . . . . .

. . . . . . . .

ყველა ეს მეტად ბუნდად და გამოურკვევლად იყო ნათქვამი, რის გამოც დათვმა შეაყენა ძაღლი და სთხოვა, საქმეს ნუ გადაუხვევთო.

ძაღლი არა სცხრებოდა ჴ ხელი მიჰყო სტატისტიკას: „რა იქნებოდა, რომ კაცი ხბოს არა ჰკლავდეს, ბატს არა სწყვეტავდეს და ქათამს არ არჩობდეს?!. ამისი ფიქრად გატარებაც-კი საშინელებაა! თითოეულ კვერცხიდგან, რომელსაც ქათამი საკმაოდ სდებს, წიწილა რომ გამოიჩიკოს და იგი კვერცხისავე მდებელ ქათმად იქცეს, რა მოხდებოდა? აი რა: ორის წლის შემდეგ ეს ტყეც და ირგვლივ მინდორიც მხოლოდ ქათმით იქნებოდა დაფარული. ყველა ხბო რომ თავისუფლად ივებებოდეს თვისის დედის რძითა და იზრდებოდეს, ხარად და ძროხად გადაიქცნენ, მაშინ ქვეყანაზედ არ დარჩებოდა არც ერთი ხე, არც ერთი ფოთოლი და ბალახი, მთლად ამათგან იქნებოდა შეჭმული. დასასრულს ადამიანი რომ ბატებს არა ჰჟლეტავდეს, სულ მცირე დროს განმომავლობაში ბატები მთლად ამოაშრობდნენ ტბებს, მდინარეებს და სხვა სულდგმული ქვეყანაზედ უწყლობით ამოწყდებოდა. ღორი რომ ხარდლითა და მდოგვით არ იჭამოს, სულ მცირე ხანში მთელი ქვეყანა ღორად იქცეოდა. მაშასადამე, სწყვეტავს რა კაცი მეტს ნაწილს ცხოველებისას, იგი ამით მხეცთ სიკეთეს უშვრება.

ძაღლმა ცოტაოდენი თოვლი გადაყლაპა, ქაფ მოგდებული ენა გადმოაგდო და თავისი სიტყვა განაგრძო, მაგრამ ბოლოს, როცა შეეხო ისტორიასა და ადამიანის ისტორიულს მეთაურობას, ცხოველებზედ უპირატესობას, მთლად დაიბნა და აზრი აერია.

უკანასკნელის დამატებით ძაღლმა მთლად გაათახსირა თვისი სიტყვა და მელიას შეძლება მისცა მთლად გაენადგურებინა მისი ნათქვამი. ბოლოს ძაღლმა სთხოვა მსაჯულთ მისი რწმუნებული გაემართლებინათ და ნება მიეცათ ბრალის ამტეხთაგან ზარალი სამოქალაქო სამართლით მოეთხოვნა.

ვექილის სიტყვამ საზოგადოებაზედ არაფრად იმოქმედა, ასე რომ თვით გლეხმაც-კი გადასწყვიტა:

ჩვენ მაგათგან არა გვინდა-რა! ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, შინ მეჩქარება, დღესასწაულები მოახლოვდაო.

ი. კახელი

(შემდეგი იქნება)

*) წერტილები თვით დედანშია.

— ნუღარ მეტყვით, უპასუხა მან: თუ ფული გაქვს ჯიბეში, ხომ ფული გაქვს; თუ თამასუქით გაასესხე, მაშინ თამასუქი გაქვს და ფული-კი აღარა, ხოლო თუ თამასუქი გექალს გარდაეცი, აღარც ფული გაქვს და აღარც თამასუქი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პრუსიაში, ბერლინის ერთს მახლობელს ციხეში შპონდაუში ხელ უხლებლად ინახება დიდძალი სიმდიდრე, რომელსაც მთავრობა ზოგავს იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ომი მოუხდება სხვა სახელმწიფოსთან. ჩვენს დროში ომიანობის დროს აუარებელის ჯარის შენახვას იმდენი ფული უნდა, რომ მთავრობა იძულებულია წინდაწინვე იფიქროს, რა ფულით უნდა გაუძლვეს ამ აუარებელს ხარჯს. გერმანიას ასეთის შემთხვევისათვის გადადებული აქვს 120 მილიონი მარკა (ერთი მარკა—30,80 კ.) ოქროთი. ამ ფულის შენახვა აბარია სამხედრო უწყებას, რომელიც დრო გამოშვებით სინჯავს ხოლმე და სთვლის ფულსა. ფული აწყვია პარკებით რკინის ყუთებში. სულ 1000 ყუთია და 12 განყოფილება. თითო განყოფილებაში 10 მილიონი მარკაა... ჟამას წინად სარევიზიო კომისიამ დაათვალიერა იულისის კოშკი, რომელშიაც ინახება ეს ფული. კომისიის წევრებმა რამდენსამე ტომარაში დასთვალეს ფული და მერე ისევ დაბეჭდეს. ამ ფულს ყოველთვის ჯარი ჰყარაულობს და ყოველ დღე სინჯავს მთელს კოშკსა, იატაკს, კედლებს, ჭერს, რომ ქურდებმა ვერა მოიპარონ რა.

* * *

საფრანგეთში ხმა გავრცელდა, რომ სახელოვან მწერლების ვოლტერისა და რუსსოს ნაშთები პანთეონში აღარ არისო. რამდენსამე კვირის წინ პარიჟის ქვეშ ერემონვილში აჰხადეს რუსსოს ძეგლს, მაგრამ ნეშტი არ აღმოჩნდა. ეს არც არავის გაჰკვირვებია, რადგანაც ვოლტერისა და რუსსოს ნეშტი 1794 წელს გადიტანეს პანთეონში. ზოგიერთნი მაინც ამბობდნენ, რომ ამ ფილოსოფოსთა ნეშტი მეფემ გამოატანინა პანთეონიდგანაო. ამიტომ დანიშნულ იქმნა კომისია იმის გამოსაკვლევად, პანთეონში არის თუ არაო. კომისიამ აჰხადა აკლდამას, რომელშიაც რუსსოს გვამი იყო დასაფლავებული და შემდეგს წარწერას წააწყდა: Hic ja cent ossa Johannes Jacobi Rouseau, anno 1778“. აქვე ჰნახეს ხის კუბო, რომელზედაც წარწერებია ლათინური და ფრანგული. კუბოს თავი აჰხადეს და ჰნახეს კარგად შენახული ჩონჩხი. ხელები გულზე იყო დაკრებილი. თავის ქალა მარცხენა მხარესა ჰქონდა გადახრილი. გასინჯეს თავის ქალა და მთელი აღმოჩნდა. მაშასადამე, ტყუილი ყოფილა ის ამბავი, რომ ვითომ რუსსომ თავი ტყვიით მოიკლაო.

ვოლტერის ნეშტიც ჰნახეს კუბოში, მაგრამ მისი ძვლები-კი რიგზედ არ ეწყო. თავის ქალა ორად იყო გადაჩეხილი. ქიმიკოსმა ბერტელომ შეაერთა ორთავე ნახევარი და დამსწრეთ ყველამ იცნეს ვოლტერის თავი, რომელიც ძლიერ წააგავს თურმე გუდონს მიერ გაკეთებულ მარმარილოს ქანდაკებას.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 დეკემბერი

**მალტა.** გეიგლენდერთა ზიფორდის რაზმის პირველმა ბატალიონმა ეგვიპტეში წასვლის ბრძანება მიიღო. ეს ბატალიონი ეგვიპტეში წავა „ნუბიას“ გემით, რომელიც 24 დეკემბერს მოვა აქ პორტ-საიდიდგან.

**პეკინი.** გერმანიის მისიონერთ წოა-ჩუაში, შანტუნგის ნახევარს კუნძულზედ, მიჰმართეს გერმანიის ელჩს ბრონ ჰეიკინგს და საჩივარი გადასცეს ჩინეთის ადგილობრივ მეციხოვნეთა უფროსზედ მუქარის გამო, რომელიც იმას მისიონერთა წინააღმდეგ უთქვამს. ჰეიკინგმა მოითხოვა ამ აფიცრის თანამდებობიდგან დათხოვნა, რაიცა აღსრულებულ იქმნა 19 ნოემბერს.

23 დეკემბერი

**პეტერბურგი.** დიდი ჰერცოგი ფრიდრიხ მეკლენბურგ-შვერინისა დანიშნულ იქმნა მოსკოვის გრენადერთა მერვე რაზმის შეფად.

უმაღლესი რესკრიპტი: რადგან ასი წელიწადი შესრულდა, რაც მარიას ინსტიტუტი არსებობს, რათა შთამამავლობის მეხსიერებაში განმტკიცდეს სიკეთე და კეთილ მოქმედებანი მისის უავგუსტოესის დამაარსებელის, იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულისა, ნაბრძანებია, რომ პეტერბურგის მარიას ინსტიტუტი ამიერიდგან იწოდებოდეს „იმპერატრიცა მარიას ინსტიტუტად“.

**ლონდონი.** Dailu Mail“-ს აუწყებენ ქაირიდგან: „აქ იმ აზრისანი არიან, რომ საფრანგეთის ნილოსის ექსპედიციები ხართუმთან უნდა იდგნენ. ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა გაიცეს ბრძანება, რომ „მეტელიხზედ გაელაშქრნენ“.

**პარიჟი.** თუმცა რავარი თავისს მოხსენებაში აღიარებს, რომ ესტერგაზის მოქმედება დანაშაულად არ ჩაითვლებაო, მაინც სოსიემ გარდასწყვიტა სამხედრო სამართალში მისცეს იგი, რათა განაჩენი წარმოითქვას, ჯარის პატიოსნება ხელ შეუხებლად დარჩეს და ესტერგაზის წინააღმდეგ ეჭვი აღარავისა ჰქონდეს. სოსიემ დაადგინა: „მაიორი ესტერგაზი ამითი მიეცემა სამხედრო სამართალში. მისი საქმე ხალხის დაუსწრებლად იქმნება განხილული 10 იანვარს შერშ-მიდის საპატიმროს შენობაში“.

**ლონდონი.** „Morniug Post“-ში დაიბეჭდა პაწია შენიშვნა იმის შესახებ, რომ ფაშოდი აღებულ და დაპყრობილ იქმნაო. საფრანგეთის „ჰავასის სააგენტო“, აღნიშნავს რა ამ ამბავს, შენიშნავს, რომ იგი ნამდვილი ჭორიაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

სწორედ ათი წელიწადია, რაც პირველად შევადგინე და გამოვეცი კანვაზედ საკერი ანბანი. სულ იყო 1,200 ცალი და ღირდა ცალი ერთი აბაზი სამნაირის ანბანით. აი, ამდენს ხანს ველოდდი მის გაყიდვას, აქედგან იანგარიშედ, რა დახლი უნდა დამდგომოდა, თუ იმასაც სახეში მივიღებთ, რომ ბევრი მუქთად დარიგდა და ბევრიც აგენტებზედ დაიკარგა. დღემდის ველოდებოდი, იქნება სხვას ვისმე მოებაძნა და ახალი რამ შეედგინა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, არავინ აღმოჩნდა იმისთანა, რომ ამ მძიმე ხელობისათვის მიეყო ხელი. ყველას, ვინც იცის ქართულის ასოების სიძნელე, უეჭველია ეცოდინება რა ძნელად მოსახერხებელია იმათი სისტემატიურად შედგენა და დახატვა. ახალი ანბანი არის ხუთნაირი და არა სამნაირი, როგორც „ცნობის ფურცელი“ ამბობს. ახალად ჩამატებულმა გოტიურ ანბანის მსგავსმა მოითხოვა დიდი შრომა შედგენა-დახატვისა და ქვაზედ ამოჭრისათვის და ამის გამო დავადე ფასი ორი აბაზი. „ცნობის ფურცელი“-კი მიკიჟინებს, ვითომ უდიერი ფასი დამენიშნოს. ვინც იცის ეს ხელოვნება და ის, თუ რა შრომა მოსდევს ამის გამოცემას, დამერწმუნება, რომ „ცნობის ფურცელი“, სრულიად უსაფუძვლოდ მიკიჟინებს.

გრიგოლ ტატიშვილი


# განცხადებანი

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка съ пуховк. 80 к.



Коробка безъ пуховки 50 к.

(11—37)

## ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ ნიხრით გირვანქა ღორის ხორცის ფასი, რა ნაჭერიც უნდა იყოს, 5 კაპ. დადგენილი. თუ ვინიცობაა რომელმამე ყასაბმა მეტი მოსთხოვა ვისმე, იმათ ქალაქის გამგეობა სთხოვს აცნობონ სავაჭრო პოლიციას ფარდულში, რომელიც სავაჭრო მოედნეზედ იმყოფება და ან ქალაქის გამგეობას, სადაც ამის გამოხაცდება შეიძლება სიტყვიერადაცა და ქალაქის ფოსტითაც.

(3—6.—3)

Открыта подписка на 1898 г.
на еженедѣльный иллюстрированный журналъ
ВОКРУГЪ СВѢТА
14-й годъ изданія
50 иллюстрированныхъ №№ въ годъ.
Романы, повѣсти, путешествія, научныя статьи и пр.
КРОМѢ ТОГО БЕЗПЛАТНО
СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ
ЖЮЛЯ ВЕРНА
12 ТОМОВЪ!
ЛУЧШИХЪ РОМАНОВЪ:
Путешествіе капитана Гаттераса.—Путешествіе на луну.—Вокругъ луны.—Пять недѣль на воздушномъ шарѣ.—Ледяной сфинксъ.—Страна пушныхъ звѣрей.—Черная Индія.—Южная звѣзда.—Архипелагъ въ огнѣ.—Паровой домъ.
2 РОСКОШНЫЯ ПРЕМІИ:
1) Проф. Ю. Клевера „Зимній вечеръ“.
2) Акад. К. В. Лебедева „Отдыхъ на соколиной охотѣ“. Олеограф. въ 28 кр.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА
НА ГОДЪ: безъ картинъ 4 р., съ двумя картинами 5 р.
съ доставкою и пересылкою.
Подписчикамъ—собраніе романовъ Жюля Верна, 12 книгъ, выданныя въ 1897 году, высылается за 2 рубля съ пересылкою.
Адресъ редакціи: Москва, Валовая ул., д. Т-ва И. Д. Сытина.

(5—ძ.—5)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება 1 წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| ნეთილი ძაღლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же . . . . | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили . . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его-же . . . | 3 | |

მომავალ დღესასწაულებისათვის მივიღე ბლომად კახეთის საუკეთესო ღვინოები თავადის ერეკლე ფრიდონის ძის ჭავჭავაძისა, მუკუზანის მამულებისა და მემამულეთა სოფელ ველისციხისა, ახაშნისა და ჩუმლაყისა.

## ისყიდება ნაკლებ ფასად:

ვედრო 2 მ. ვიდრე 10 მ., ბოთლი 15 კ. ვიდრე 1 მ. შემოკვეთა და დაბარება შეიძლება ყველა ადგილებიდგან, თუ მეხუთედი ფასი ამ თავით იქნება წარმოგზავნილი.

**საწყობი იმყოფება:** ქ. ტფილისში, შუა ბაზრის თავში, წინამძღვრიშვილის შენობაში.

**მისი განყოფილება:** ოლგას ქუჩაზედ გაბაევის მამულში.

ვაჭრობა დაიწყება 1898 წლის 1 იანვრიდგან.

(3—217—2) ს. ი. კურდღელოვი.

# 1898

# მოამბე

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეოთხე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ . . . . . . . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდგან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „Моамбе“.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

(3—უ.—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Декабря 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.